



05/09/2018

ქ. თბილისი

ბრძანება #568/18

მობილობისათვის ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

უნივერსიტეტის მართვის დებულებით (მუხლი 2) პრეზიდენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, პრეზიდენტ მანანა სანაძის მიერ გაცემული მინდობილობის N 170412575 ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 50/18 ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მობილობისათვის ადგილების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი წესით:

აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)	ადგილი	სწავლის წლიური საფასური (ლარი)
ჟურნალისტიკა	4	3200
ფსიქოლოგია	7	2990
საერთაშორისო ურთიერთობები	17	3200
სამართალმცოდნეობა	18	2250
საჯარო მმართველობა	10	2990
ბიზნესის ადმინისტრირება	20	2990
ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამა	10	4000 აშშ დოლარი ექვივალენტი ლარში
ეკონომიკა	10	2500
ტურიზმი	15	2990
ინფორმატიკა	25	3500
ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია	10	2500
ერთსაფეხურიანი სწავლება	ადგილი	სწავლის წლიური საფასური (ლარი)
მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა	5	6000

2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადგილების ზღვრული ოდენობის ფარგლებში შესამღებელია ცალკეულ პროგრამებზე/აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურებზე ადგილების რაოდენობის ცვლილება, სტუდენტთა რეგისტრაციების გათვალისწინებით.
3. საბაკალავრო პროგრამებზე მობილობის მსურველმა სტუდენტმა 2018 წლის 7 სექტემბრიდან 2018 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტს და განცხადებას თან დაურთოს შემდეგი საბუთები:
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათის ასლი;
 - სკოლის ატესტატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
 - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟების შემთხვევაში);
 - ფოტოსურათი (3X4);
 - სწავლის საფასურის მეათედი ნაწილის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
 - სარეგისტრაციო დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულ მატარებელზე (CD-ზე ჩაწერილი)
4. საქართველოს უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზნით სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება.
5. დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს უმოკლეს ვადაში აცნობოს დაინტერესებულ პირებს ამ ბრძანების გამოცემის შესახებ (თ. ლაგვილავა).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

პრეზიდენტ გიული ალასანიას მოვალეობის შემსრულებელი,
რექტორი

კონსტანტინე თოფურია